ხელშეკრულება № 1/29

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ერთ პირთან მოლაპარაკება)

„9 " „დეკემბერი" 2014წ.

სსიპ თბილისის №209 საჯარო სკოლა (მის: წყაროს ჩიხი№1 ს/კ 236087907), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი სკოლის დირექტორი ია აბუაშვილის სახით და შპს „ელიტ ელექტრონიქსი" ს/კ 202268928 **მისი მენეჯერი გიორგი კაპანაძის სახით,** შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.7 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.8 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.9 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.10 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.11 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.12 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია. ***პორტატული კომპიუტერი და ფოტოაპარატის შესყიდვა*** **CPV—302 13100** (2 ცალი ლეპტოპი 1679,98)და **CPV—386 51600** (1 ცალი ფოტოაპარატი 533,49)

ხელშეკრულების ღირებულება

16.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2213,47** ლარს.

16.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლებამოსილებები

4.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მომსახურეობის გაწევა შესაბამისი სტანდარტების გამოყენებით.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს დეტალური ანგარიში გაწეული მომსახურეობის შესახებ

.

4. მომსახურების ხარისხი

განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის დირექტორი ია აბუაშვილი

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2 8.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სკოლის დირექტორი ია აბუაშვილი

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიღებული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **5 (ხუთი) დღის** განმავლობაში.

7.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემოხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ შეუსრულებელ საათზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **2 (ორი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 დეკემბრამდე .

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი – შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლა, ს/კ206031667 წარმოდგენილი სკოლის დირექტორი ია აბუაშვილი სახით, მისამართი: წყაროს ჩიხი ქ№1 ტელ: 877-971119 საბანკო რეკვიზიტები: "პრივატბანკი ა/ა GE49TP0034080102000085 9 ----------ია აბუაშვილი	სს ელიტ ელექტრონიქსი ს/კ **202268928** მისამართი: თბილისი, საბანკო რეკვიზიტები: ბ/კოდი: TBCBGE22 ა/ა **GE69TB0600000120467205** ----------გიორგი კაპანაძე

ა ქ ტ ი

მომსახურეობის მიღება–ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 9 დეკემბერი 2014წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის დირექტორი ია აბუაშვილი (შემდგომში შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, სს ელიტ ელექტრონიქსი ს/კ **202268928** მისი მენეჯერის გიორგი კაპანაძის სახით (შემდგომში შემსრულებელი) ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა ჩაიბარა; ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა ხელშეკრულება №1/29 , 9 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. კერძოდ: 2 ცალი LENOVO (ნეთბუქის) შეძენა

რომლის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1679,98 (ერთიათას ექვსას სამოცდაცხრამეტი ლარი და 98 თეთრი) ლარს.

მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი		მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლა ქ. თბილისი, წყაროს ჩიხი ქ#1 ს/კ 236087907 ბანკის კოდი: პრივატ ბანკი ანგარიშის NGE49TP0034080102000085 ----------		სს ელიტ ელექტრონიქსი ს/კ **202268928** მისამართი: თბილისი, საბანკო რეკვიზიტები: ბ/კოდი: TBCBGE22 ა/ა **GE69TB0600000120467205** ----------გიორგი კაპანაძე
ია აბუაშვილი სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის დირექტორი		

ა ქ ტ ი

მომსახურეობის მიღება–ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2014წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის დირექტორი ია აბუაშვილი (შემდგომში შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, სს ელიტ ელექტრონიქსი ს/კ **202268928** მისი მენეჯერის გიორგი კაპანაძის სახით (შემდგომში შემსრულებელი) ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა ჩაიბარა; ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა ხელშეკრულება №1/29 , 9 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. კერძოდ: 1 ცალი ფოტოაპარატის შეძენა

რომლის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 533,48 (ხუთასოცდაცამერი ლარი და 49 თეთრი) ლარს.

მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი		მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლა ქ. თბილისი, წყაროს ჩიხი ქ#1 ს/კ 236087907 ბანკის კოდი: პრივატ ბანკი ანგარიშის NGE49TP0034080102000085 ----------		სს ელიტ ელექტრონიქსი ს/კ **202268928** მისამართი: თბილისი, საბანკო რეკვიზიტები: ბ/კოდი: TBCBGE22 ა/ა **GE69TB0600000120467205** ----------გიორგი კაპანაძე
ია აბუაშვილი სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის დირექტორი		